დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109260572**

თარიღი:**26/02/2026**

ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის საბიუჯეტო სახსრების ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებთან გაერთიანების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისი"-ს მიერ (ს/კ 425358739) დმანისისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების მომზადებისა და რაგბის ტურნირებში მონაწილეობისათვის ფინანსური სახსრების გამოყოფის მიზნით, ბოლნისის მუნიციპალიტეტთან 2026 წლის საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტების 2026 წლის საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №1

საქართველო **2026 წელი**

ერთის მხრივ ბოლნისის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის - ზამურ ჭითანავას სახით

მისამართი: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ.№106

საიდიენტიფიკაციო კოდი: 225393963

და მეორეს მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის - კობა მურადაშვილის სახით

მისამართი: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქ. №41

საიდიენტიფიკაციო კოდი: 228928391

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც - „მხარეები“, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის და 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის ---------- №---------- განკარგულებისა და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის ---------- №---------- განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომ - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების მიზანი

წინამდებარე ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში რაგბის ერთობლივი განვითარების და შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით, მხარეებს შორის საბიუჯეტო სახსრების გაერთიანება.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ბოლნისის მუნიციპალიტეტის და დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის საბიუჯეტო სახსრების გაერთიანება ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისისათვის“ (ს/კ 425358739) თანხის

გამოყოფის მიზნით ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში რაგბის ერთობლივი განვითარების და შემდგომი პოპულარიზაციისათვის.

2.2 მხარეების მიერ გაერთიანებული საბიუჯეტო სახსრები მოხმარდება ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისის“ (ს/კ 425358739) მიერ განსახორციელებელ შემდეგ ღონისძიებებს:

2.2.1 ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში, მორაგბეების ფიზიკური და სათამაშო კონდიციების შენარჩუნება (პერსონალის ხელფასით უზრუნველყოფა, შეკრებები, ეკიპირება, სავარჯიშო პირობებით უზრუნველყოფა და სხვა);

2.2.2 ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში, მორაგბეების მწვრთნელებით, ექიმ - მასაჟისტებითა და სხვა აუცილებელი პერსონალით უზრუნველყოფა;

2.2.3 ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში ბავშვთა რაგბის განვითარება;

2.2.4 რაგბის პოპულარიზაცია (რაგბის ტურნირებისა და სხვა მსგავსი სპორტული ღონისძიებების მოწყობა);

მუხლი 3. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

3.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან ერთობლივად დააფინანსონ ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისი“ (ს/კ 425358739) ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში რაგბის ერთობლივი განვითარების და შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით;

3.2 მხარეები იღებენ ვალდებულებას ერთობლივად დააფინანსონ ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისი“ (ს/კ 425358739) შემდეგი მოცულობებით:

3.2.1. ბოლნისის მუნიციპალიტეტი - საბიუჯეტო წელში 1,490 000 (ერთი მილიონ ოთხასოთხმოცდაათი ათასი) ლარი;

3.2.2. დმანისის მუნიციპალიტეტი - საბიუჯეტო წელში 100 000 (ასი ათასი) ლარი;

3.3. დმანისის მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულების 3.2.2. პუნქტით განსაზღვრული თანხა, არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა ჩარიცხოს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე:

ხაზინის ერთიანი ანგარიში

GE52BG0000000162115489

სახაზინო კოდი 300093518

3.4. თავის მხრივ ბოლნისის მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას, დმანისის მუნიციპალიტეტისგან ხელშეკრულების 3.3 პუნქტის საფუძველზე მიღებული თანხა გადარიცხოს ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისის“ (ს/კ 425358739) ანგარიშზე და პერიოდულად კალენდარული წლის ბოლოს წარმოადგინოს ანგარიში დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოყოფილი თანხის გახარჯვის თაობაზე.

მუხლი 4. დავების გადაწყვეტის წესი

წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დადასტურებიდან და ვრცელდება 2026 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივი ურთიერთობებზე;

5.2 ხელშეკრულება მოქმედია 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

6.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა დასაშვებია მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით. შეთანხმება მხარეების მიერ, ხელის მოწერის შემდეგ წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

6.3 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, ქართულ ენაზე, დადასტურებულია კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერით და ელექტრონული დოკუმენტის ყველა ეგზემპლარი ორიგინალია.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის	**დმანისის მუნიციპალიტეტის**
მერი	**მერი**
ზამურ ჭითანავა	**კობა მურადაშვილი**